საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112“
OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 6 22 00145412

19/01/2022

ქალბატონ ლელა მერაბიშვილს
ელ.ფოსტა: foi+request-114-bebb65f0@askgov.ge

ქალბატონო ლელა,

მიმდინარე წლის 13 იანვრის, № 90138 განცხადების პასუხად გიგზავნით, რომ შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში, 2015- 2021 წლებში, ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებების სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც ჩაშლილია რეგიონების მიხედვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოსული შეტყობინებების კლასიფიკაცია ხდება ზარის ინიციატორის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის საფუძველზე. თითოეულ განხორციელებულ ზარზე „112“-ის ოპერატორის (ზარის მიმღების) მიერ პროგრამულად განისაზღვრება პრობლემის ანუ ინციდენტის ტიპი. ინციდენტის ტიპის მინიჭების მიზანია არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო დისპოზიციასთან მიმართებით, არამედ შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრა.

„112“-ის მიერ შსს-ს უფლებამოსილი დანაყოფებისათვის გადასაცემი ინციდენტის ტიპები განსაზღვრულია შს მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის N30 ბრძანებით. ერთ-ერთი ასეთი ინციდენტის ტიპია **"კონფლიქტი ოჯახური/ძალადობა"**. ამ ინციდენტის ტიპში გაერთიანებულია ოჯახურ უთანხმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება, მაგალითად: მცირე სიტყვიერი შელაპარკება, კონფლიქტი, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცემა და ა.შ. შესაბამისად, ამ ინციდენტის ტიპში გაერთიანებული შეტყობინებები უფრო ფართოა, ვიდრე ოჯახური ძალადობის საკანონმდებლო დისპოზიცია. აქედან გამომდინარე, ამ ინციდენტის ტიპით „112“-ში დაფიქსირებული შეტყობინებების რაოდენობა არ შეესაბამება ოჯახური ძალადობის რეალური შემთხვევების რაოდენობას.

აქვე მოგახსენებთ, რომ 2016 წლის 18 თებერვლამდე რეგიონებიდან შემოსულ შეტყობინებებზე შექმნილ საქმეებში არ ხდებოდა შემთხვევის შესაბამისი ინციდენტის ტიპის არჩევა და მოწოდებული ინფორმაცია ფიქსირდებოდა მხოლოდ საქმის კომენტარებისთვის გამოყოფილ ტექსტურ ველში („შენიშვნის ველი“), არაშაბლონურად. ამიტომ, 2016 წლის 18

თებერვლამდე, მონაცემების ამოღება მოხდა სიტყვათა სხვადასხვა კომბინაციის შერჩევით, რაც შესაბამისად ვერ ასახავდა ზუსტ მონაცემს. გამომდინარე აქედან, აღნიშნულ თარიღამდე მოწოდებული სტატისტიკა არის რეალურთან მიახლოებული, მაგრამ არა ზუსტი.

მოკლებული ვართ შესაძლებლობას ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებების რაოდენობის შესახებ მოწოდებული მონაცემი, წარმოგიდგინოთ სქესის და ასაკის მიხედვით დანაწევრებული, ვინაიდან არ ხდება ამ კუთხით ინფორმაციის დამუშავება.

იხ. მიბმული ფაილი

პატივისცემით,

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის
ცენტრი ,,112" ადმინისტრაცია (სამმართველო)
უფროსი **ლაშა ჩახავა**